

მანანა ღარიბაშვილი
კლასიკური ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
თსუ-ს ენების ცენტრის ლექტორი
თბილისი, საქართველო

**პოეტური ტექსტების ქართულად თარგმნის სირთულეები
და თავისებურებანი
(ვერგილიუსის ბუკოლიკური პოეზია)**

თეზისები: ცნობილია, რომ თარგმანი მეტად დიდ ენერგიასა და შრომას მოითხოვს, როცა გინდა, რომ დედნის ინტონაცია, განწყობა, უმთავრესი სათქმელი სრულყოფილად იყოს გამოხატული და ქართულად ეს ყოველივე ბუნებრივად ულერდეს. ამასთან, პოეზიის თარგმნა კიდევ უფრო რთული საქმეა და გაცილებით მეტ ძალისხმევას საჭიროებს, მით უფრო, თუკი სათარგმნ მასალად წინ მკვდარი ენები გიდევს – ტექსტები ძველბერძნული და რომაული ლიტერატურიდან.

ისიც გავიხსენოთ, რომ ანტიკური პოეზია რითმას არ ცნობს, რიტმს კი ამ ენათა პოეზიაში ქმნის გრძელი და მოკლე ხმოვნების შემცველ მარცვალთა კანონზომიერი თანმიმდევრობა, ანუ მათი ოდენობა (კვანტიტეტი); ამდენად, მათი ლექსთწყობა მეტრული, ანდა კვანტიტეტურია. ამიტომაც ძირშივე მეტად საჭოჭმანოა ბერძნულ-რომაულ საზომთა ქართულ ენაზე გადმოტანა. ქართული ლექსწყობა ხომ კვანტიტეტურისგან სრულიად განსხვავდება, იგი კვალიტეტურია, ანუ აქ ლექსის რიტმულობის საფუძველს ან მარცვალთა თანაბარი რაოდენობა ქმნის (სილაბური ლექსწყობა), ანდა მახვილიან და უმახვილო მარცვალთა კანონზომიერი თანმიმდევრობა (სილაბურ-ტონური ლექსწყობა); მოკლედ, რომელსაც უნდა მივაკუთვნოთ ქართული ლექსი, იგი მკვეთრად განსხვავდება ანტიკური ლექსწყობისგან, ამიტომ ამ საზომთა ქართულ ენაზე გადმოტანა გარკვეულ პირობითობას ემყარება.

ამას გარდა, რადგან ბუკოლიკური ლექსები დაქტილური ჰეგზამეტრით არის გამართული, მათი თარგმნისას სირთულეს ქმნის აგრეთვე ქართულში დაქტილური ჰეგზამეტრის

Les civilisations gréco-romaine et orientale anciennes en traduction

შესატყვისი სალექსო საზომის არარსებობა. ხელოვნური საზომები ძირითადად ვერ ამართლებს, „თოთხმეტმარცვლოვანი ბესიკური“, რომელიც თარგმანში ყველაზე ხშირად გამოიყენება, ამ შემთხვევაში ინტონაციურად შეუსაბამოა, სულ სხვა ჟანრული ინერცია ახლავს.

მაგრამ ვერსიფიკაციური სირთულეების გარდა, დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ვერგილიუსის ღირსებათა დიდი ნაწილი, რაც ენობრივ ძალასა და სილამაზებია გამოხატული, თარგმანს უსხლტება და მისავე ლათინურში რჩება. ცხადია, სოფელი, სოფლური შრომისა და გართობის განწყობილებანი ვერგილიუსისთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ლექსის გარეგნული ბრწყინვალება: მთავარია, სტრიქონი მაქსიმალურად აივსოს ენერგიით, მთავარია სიტყვების ერთმნანეთთან კავშირი, მათი მიზიდულობა და განზიდულობა; ხოლო რა სათქმელს იტყვის – ეს უკვე მეორეხარისხოვნად ესახება. უპირველესად, იგი ენობრივ სილამაზეზე ორიენტირებული, რისი გადმოცემაც სხვა ენაზე ძალზე რთულია.

საკვანძო სიტყვები: პოეტური თარგმანი, ანტიკური პოეზია, ბექნული და რომაული ლიტერატურის თარგმანი, ვერგილიუსის ბუკოლიკური პოეზიის თარგმნის თავისებურებები

Abstract: Good translation requires the specific attitude, creativity and determination. A translator is obliged not only to transfer meaning across the time, place, and language, but also to capture the intonation, mood, and innuendo while making the text sound authentic. The target texts of the dead languages of ancient Greek and Classical Latin take the particular efforts of poetry translation. We also need to keep in mind that antique poetry does not rely on cadence. Rhythm in the poetry of these languages is created by regular sequence of long and short syllables — their length, or quantity (quantitative meter), gives their prosody this quantitative metric. Considering this, translation of Greco-Roman meters into Georgian language is dubious from the beginning since Georgian prosody is qualitative, as the rhythm is established by a fixed number of syllables in each line (syllabic prosody) or by a regular sequence of accented and non-accented syllables (accentual-syllabic prosody). Both cases are fundamentally different from the prosody of Greco-Roman, making their transfer into Georgian a matter of relatively arbitrary choice by the translator.

The translation of Roman classical poets' texts differ from one another in terms of their difficulty: authors translated by us – poetry of Ovid, Horace, Propertius, Tibullus, Catullus, and Vergil are each accompanied by their own set of challenges. However, in the scope of this paper we are going to only focus on peculiarities of Vergil's Bucolic poetry.

Publius Vergilius Maro, or Virgil, was one of the most prominent poets of his day. The Bucolics, also known as the Eclogues, are some of Virgil's earliest works, and delivers the troubles and joys of being close to the nature, that involve singing competitions among shepherds, and stories of a shepherd's unrequited love.

For Virgil, the sound of his poetry is paramount, transcending even the close attention he pays to the village life, labor, and rural diversions. In Virgil's Latin, these aesthetics are so closely tied to the sound and meter that the full strength and beauty of his work remain forever enshrined in their original language. The external brilliance of his poetry is found in every line, which is filled with great energy and movement.

For Virgil the linkages between words, their natural attractions or repulsions is of critical importance, while the message contained is secondary. This feature makes the translator's task doubly difficult. By contrast, other poets may focus their talents on the ferocity of sentiments, hidden irony, or semitones. Catullus for example uses his poetry to defy modesty and delight in candor. While each poet comes with its own unique set of social and linguistic obstacles, still, the transfer of these from one language into another is possible in principle. This is not the case with the brilliance of a line of Virgil.

Furthermore, Vergil's Bucolics can be classified as lyrical only arbitrary. This is not the lyricism familiar to a modern reader. This peculiarity of Vergil's poetry should undoubtedly be taken into consideration by the translator, as excessive lyricism will move the translated text further away from the original, which would be a 'betrayal' of the Roman poet.

Moreover, since bucolic poetry is written in dactylic hexameter additional difficulty is created by non-existence of an equivalent meter to this hexameter in Georgian language. Artificially created meters rarely work well and the usage of 'Besikuri' fourteen-syllable

meter, which is the most frequently used meter for translational texts, is unsuitable due to its intonation.

Keywords: poetry translation, ancient poetry, translation of Greek and Roman literature, particularities of Virgil's bucolic poetry

ცნობილია, რომ საერთოდ თარგმანი (პროზაულიცა და პოეტურიც) მეტად დიდ ენერგიასა და ძალისხმევას მოითხოვს, თუკი მიზნად ისახავ, რომ დედნისეული ინტონაცია, განწყობა, ავტორის უმთავრესი სათქმელი, ჩანაფიქრი სრულყოფილად გადმოსცე და ქართულად ეს ყოველივე ბუნებრივად უღერდეს. რაღა თქმა უნდა, პოეზიის თარგმნა კიდევ უფრო რთული საქმეა და, ვფიქრობთ, გაცილებით მეტ რუდუნებასა და ნიჭს მოითხოვს, მით უფრო, თუ სათარგმნ მასალად წინ მკვდარი ენები გიდევს — ტექსტები ძველბერძნული და რომაული ლიტერატურიდან.

ისიც ფაქტია, რომ ანტიკური ხანის პოეტთა ქმნილებები სირთულის მხრივ ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება: თუნდაც ჩვენ მიერ თარგმნილი რომაელი ავტორების — ოვიდიუსის, პორაციუსის, პროპერციუსის, ტიბულუსის, კატულუსის, ვერგილიუსისა და მარციალისის პოეზია სრულიად სხვადასხვაგვარ სირთულეს აყენებს მთარგმნელის წინაშე.

ამჯერად ჩვენი ოპუსის მიზანია გავაანალიზოთ ის წინაღობები, რომლებიც წარმოჩნდება ვერგილიუსის პოეტური ნაწარმოებების თარგმნისას, კერძოდ, მის ბუკოლიკურ პოეზიაში.

პუბლიუს ვერგილიუს მარონი უყოყმანოდ პირველხარისხოვან პოეტად მიიჩნევა. მისი ბუკოლიკები ანუ ეკლოგები, პირველი ნაწარმოები იყო, რომელმაც მას თავიდანვე გაუთქვა სახელი. ბუკოლიკები მწყემსურ ცხოვრებას გვიხატავს; ბუნებასთან ახლოს ყოფნის ჭირსა და ლხინს, პოეტურ შეჯიბრებებს, შიგადაშიგ სასიყვარულო ურთიერთობებს.

ბუკოლიკები აღნიშნავს „მწყემსურ სიმღერებს“, იმავეს, რასაც ევროპულ ლიტერატურაში „პასტორალს“ უწოდებენ. ამ უნრის ლექსებს ერქვათ „ეკლოგები“ („მონარჩევი“), ანდა „იდილიები“ („სურათები“); ამ ტერმინებს შორის განსხვავება არ არსებობდა, მხოლოდ ახლა, დღევანდელ დღეს, რატომლაც მიიჩნევა, რომ ეკლოგა უფრო მოქმედებას გამოხატავს (საჭიროებას), იდილიები კი – გრძნობებს. ამ უნრის დამაარსებელი იყო სიცილიელი პოეტი თეოკრიტოსი (ძვ. წ. აღ-ით III ს.), რომელიც ხან კუნძულ კოსტე და ხან სიცილიაში მოღვაწეობდა. ვერგილიუსმა ბუკოლიკური უანრის პოეზიას მიმართა სწორედ იმიტომ, რომ იგი იძლეოდა საშუალებას, ერთდროულად გეთქვა სათქმელი შენი

და სხვისი სახელით. იგი თავისთავს კი არ აყენებს ლექსის ცენტრში, არამედ საერთოდ ადამიანს; მაგრამ არჩევს და აწყობს ამ ეკლოგებს იმდაგვარად, რომ მათმა თემებმა მოიცავს მთელი სამყარო, თუნდაც ბუკოლიკური, მარტივი თვალსაწიერიდან დანახული.

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ვერგილიუსის ლირსებათა დიდი ნაწილი ენობრივ ძალასა და სილამაზებია გამოხატული, რაც თარგმანს უსხლტება და მისსავე ლათინურში რჩება. ცხადია, ბუკოლიკებში აღწერილი სოფელი და სოფლური შრომისა და გართობის განწყობილებანი პოეტისთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ლექსის გარეგნული ბრწყინვალება: მთავარია, სტრიქონი მაქსიმალურად აივსოს ენერგიითა და მოძრაობით (განსხვავებით თეოკრიტოსისგან, რომელიც თავის იდილიებში ასევე მწყემსურ ცხოვრებას გვიხატავს), ვერგილიუსისთვის მთავარია სიტყვების ერთმანეთთან კავშირი, მათი მიზიდულობა და განზიდულობა; ხოლო, რა სათქმელს იტყვის — თეოკრიტოსისას თუ თავისას, ეგ უკვე მეორეხარისხოვნად ესახება. უპირველესად იგი ენობრივ სილამაზებეა ორიენტირებული, რისი გადმოცემაც სხვა, მეორე ენაზე, ძალზე რთულია. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არიან ისეთი პოეტებიც, რომელთა სამიზნეც განცდათა სიმძაფრეა, ანდა შეფარული ირონია, ნახევარტონები, უშუალო ინტონაციები; ჩემი აზრით, ამ დროს მთარგმნელი იმგვარი სირთულეების წინაშე დგება, რომელთა გადალახვაც შესაძლებელია, მათი გადმოცემა ერთი ენიდან მეორეზე უფრო ხერხდება, ვიდრე სტრიქონის ელვარებისა (ვერგილიუსი). სწორედ ეს არის პირველი თავისებურებაცა და წინააღმდეგობაც, რომელიც ბუკოლიკების თარგმნისას წარმოჩნდა. ამ წინააღმდეგობის დაძლევა მარტო რუდუნებითა და შრომით ვერ გამოვა, მთარგმნელი კარგად უნდა გრძნობდეს ორივე ენას და უნდა შეეძლოს სტრიქონის ბრწყინვალება ცოტათი მაინც გადმოსცეს, ანუ ლექსის გარეგნული ელვარება ოდნავ შეინარჩუნოს; სიტყვა „ოდნავ“ იმიტომ ვიხმარეთ, რომ ბუკოლიკების სტრიქონთა ელვარების სრულად გადმოცემას, სულ ცოტა, ვერგილიუსის ძალის პოეტი სჭირდება.

ისიც სათქმელია, რომ ვერგილიუსის ბუკოლიკებს, რომლებსაც ტრადიციულად ლირიკულ სიმღერებს უწოდებენ, მხოლოდ პირობითად შეიძლება დაერქვას ლირიკული. ჩვენ არ შევუდგებით ათასჯერ განმარტებული განმარტებას — იმას, თუ როგორ განსხვავებულად ესმოდათ ანტიკურობაში ლირიკა და რას გულისხმობდნენ ამ ტერმინში. ფაქტი ერთია: ეს ის ლირიკა არ არის, რომელსაც თანამედროვე მკითხველი გულისხმობს (და იცნობს), მთარგმნელმა ანტიკური პოეტის ეს თავისებურებაც უნდა გაითვალისწინოს და არ დაუშვას თარგმნისას „გადამეტებული ლირიზმი“, რომელიც ანტიკურ ტექსტს თავის ნამდვილ

Les civilisations gréco-romaine et orientale anciennes en traduction

სახეს დაუკარგავს და ორიგინალთან დააშორებს. გვინდა ნათქვამის ნათელსაყოფად მოვიყვანოთ ჩვენი თარგმანი ბუკოლიკებიდან, ვფიქრობთ, ეს სტრიქონები დაცლილია ზედმეტი ლირიზმისაგან და თანამედროვე ლირიკული ლექსისაგან შორს დგას. თუმცა, ე.წ. ინტიმური ინტონაცია პოეტისა — შენარჩუნებულია.

კორიდონი

ჩემო ნიმფებო, ლიბერტიდებო, უსაყვარლესნო ჩემნო,
მეც ეს ელვარე ნიჭი მომმადლეთ, რაიც უძღვენით კოდრუსს,
მსურს, გავუტოლდე ფეხუსს ისევე, ვით გაუტოლდა იგი,
და თუ უარი — მაშინ ფლეიტას ფიჭვზე დავკიდებ უქმად!

თირსისი

თავი შეუმკეთ, მწყემსნო, სუროთი ახლად მოვლენილ მგოსანს,
დაე, კოდრუსი გასკდეს შურისაგან, მაგრამ თუ იტყვის ქებას,
ქებას მეტისმეტს, მაშინ სასწრაფოდ შემომახვიეთ შუბლზე
კატაბალახა, რომ ვერ გამთვალოს ლაქარდიანი ენით.

კორიდონი

ტახის ჯაგრიან თავს შემოგწირავ და რქებს ბებერი ირმის,
ო, შენ დელოსის წმინდა ქალწულო, გიძლვნის მიკონი ამას,
თუ ნადირობამ კვლავ გაუმართლა, კვლავ გაულიმა ბედმა,
თლილ მარმარილოს ქვისაგან აღგმართავს წითლად
კოთურნებმოსილს.

(ვერგილიუსი, ბუკოლიკური პოეზია, სტ. 21-32);

ანტიკური პოეზიის თარგმნისას საჭიროა, საგანგებოდ აღინიშნოს ის სირთულეები, რომლებიც ვერსიფიკაციულ საკითხებს ეხება. რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია და ბევრ დაბრკოლებას უქმნის ანტიკური პოეზიის მთარგმნელს. როგორც ვიცით, ანტიკური პოეზია რითმას არ ცნობს, რიტმს კი ამ პოეზიაში ქმნის გრძელი და მოკლე ხმოვნების შემცველ მარცვალთა კანონზომიერი მონაცვლეობა, ანუ მათი ოდენობა (კვანტიტეტი); ამდენად მათი ლექსწყობა (ქვ. ბერძნული და ლათინური ენებისა) მეტრული, ანდა კვანტიტეტურია. ასე რომ, ძირშივე მეტად საჭირო ბერძნულ-რომაული საზომების ქართულ ენაზე გადმოტანის საკითხი. რადგანაც ქართული ენის ლექსთწყობა კვანტიტეტურისაგან სრულიად განსხვავებულია (კვალიტეტურია) და აქ ლექსის რიტმულობის საფუძველს ან მარცვალთა თანაბარი რაოდენობა ქმნის (სილაბური ლექსთწყობა), ანდა ე.წ. მახვილიანი და უმახვილო მარცვლების კანონზომიერი თანმიმდევრობა (სილაბურ-ტონური ლექსთწყობა); მოკლედ, რომელ ლექსთწყობასაც არ უნდა

მივაკუთვნოთ ქართული ლექსი — სილაბურსა თუ სილაბურ — ტონურს, ერთი რამ ცხადია: იგი მკვეთრად განსხვავდება ბერძნულ-რომაული ლექსთწყობისაგან და აქედან გამომდინარე, ამ საზომთა ქართულ ენაზე გადმოტანა ყოველთვის დიდ სირთულეს ქმნის და მუდამ გარკვეულ პირობითობას ემყარება. როდესაც ლათინური ჰეგზამეტრისთვის ქართულ საზომს ვარჩევდით, პირველ ყოვლისა, ის მომენტი გავითვალისწინეთ, რომ ჩვენი საზომი არ უნდა ყოფილიყო ხშირად ხმარებული, როგორიც მაგალითად ეწ. ბესიკური თოთხმეტმარცვლოვანია, რომლითაც ქართული პოეტური თარგმანების დიდი ნაწილია შესრულებული და, რაც მთავარია, შექსპირის ყველა ტრაგედია ამ საზომითა გადმოტანილი; ამდენად, ამ საზომს უკვე სხვა უანრული ინერცია ახლავს და სრულიად შეუსაბამოა დღევანდელ დღეს კვლავ ამ საზომის გამოყენება, მით უმეტეს, ბუკოლიკური პოეზიისათვის; აქედან გამომდინარე, დაუყოვნებლივ უარვყავით „გაკვალული ბილიკი“ და ჩვენი ჰეგზამეტრისთვის ბევრი ფიქრის შემდეგ ჩვიდმეტმარცვლოვანი საზომი შეგარჩიეთ, რადგან თუმცა, ისიც პირობითად შეესაბამება ბერძნულ-ლათინურ ჰეგზამეტრს, მაგრამ მაინც ზოგი რამ საერთო აქვს: ესეც ჩვიდმეტმარცვლოვანია (ბერძნულ — ლათინურში უკადანსო გრძელი ხმოვანი ორად ითვლება), აუცილებელი ქორეთი ბოლოვდება და კადანსების რიცხვიც უმეტესად იგივეა, თან, რაც მთავარია, ინტონაციურად ნიშანდობლივ სხვა უანრებს არ გვაგონებს.

გვინდა ჰეგზამეტრის ჩვენეული, ქართული ვარიანტი ბუკოლიკების ერთი სრულიად გამორჩეული ეკლოგიდან მოვიყვანოთ, ეს არის მე-4 ეკლოგა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გარდა იმ სირთულისა, რაც ბერძნულ-რომაული საზომების გადმოტანას ახლავს, არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ: ლექსის ინტონაცია, რომელიც ასევე ძალიერი დიდ თავსატეხს უჩინს მთარგმნელს; სათარგმნი მასალის ინტონაცია დიდი დაკარიცვებით უნდა იყოს შერჩეული, რადგან თუ ასე არ მოხდა, ეს გარემოება დედანს მეტად დააშორებს თარგმნილ ტექსტს. მე-4 ეკლოგა კი სწორედ ინტონაციურად არის ძნელი სათარგმნი, ძნელია, შეარჩიო მართებული ინტონაცია, თუ ეკლოგის არსი არ გესმის, თუ არსს ვერ ჩაწვდი, ინტონაცია ნაყალბევი გამოგივა და მთელი ლექსი ყალბად აუღერდება. პირველ ყოვლისა, ისმის კითხვა: როგორ უნდა გავიაზროთ ეს ლექსი, როგორ უნდა მივხვდეთ ავტორის მთავარ სათქმელს, ანუ ვინ არის ლექსის ადრესატი. და შემდეგ ამის მიხედვით უნდა შეირჩეს ეკლოგის გადმოსატანად სწორი, შესაფერისი ინტონაცია, რაც კიდევ უფრო მეტად განაპირობებს თარგმანის ხარისხს.

მე-4 ეკლოგა, როგორც ცნობილია, ვერგილიუსის ბუკოლიკებში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს და სრულიად განცალკევებით დგას

Les civilisations gréco-romaine et orientale anciennes en traduction

სხვა პასტორალური ლექსებისგან. ამ ეკლოგამ პოეტს დიდი სახელი გაუთქვა, როგორც თანამედროვეთა შორის, ისე შემდგომ საუკუნეებში; თუკი შუა საუკუნეებში ვერგილიუს იცნობდნენ როგორც დიდ მაგსა და წინასწარმეტყველს, ეს ენეიდას გარდა, ამ ეკლოგის დამსახურებაც იყო. საქმე ისაა, რომ მკვლევართა უმეტესობა მიიჩნევდა და მიიჩნევს, რომ პოეტმა რამდენიმე ათწლეულით ადრე ქრისტეს დაბადება იწინასწარმეტყველა და რომ იგი აქ მომავლის განჭვრეტას ლამობს და განაცხადებს, რომ სულ მაღლ დაიბადება ყრმა, რომლის მოვლინებაც ქვეყნიერების ბედ-ილბალს შეცვლის და ახალი ერა, უამთა ახალი წრებრუნვა დაიწყება. პოეტის სურვილი კი ის არის, იქამდე იცოცხლოს, რომ ამ ღვთაებრივ ყრმას მოესწროს და აღმატებული სიმღერები უძღვნას.

გარდა ამ მოსაზრებისა, ამ ეკლოგის შესახებ არის კიდევ ბევრი ჰიპოთეზა და ვარაუდი. ასე მაგალითად, მეცნიერთა ერთი ნაწილი ცდილობს, დაასაბუთოს, რომ პოეტმა მე-4 ეკლოგით თავის ერთ-ერთ თანამედროვეს, მეტად პატივგებულ კაცს — აზინიუს პოლიონს (რომელსაც 40 წელს უმაღლესი თანამდებობა, კონსულობა მიანიჭეს) ვაჟის დაბადება მიუღლოცა. მაგრამ ეს თეორია ჩვენ არადამაჯერებლად გვეჩვენება, ტექსტის დაკვირვებით წაკითხვისას სრულიად აშკარაა, რომ აქ არანაირი მილოცვა არ შეიძლება იყოს: ამ ფაქტით ვერგილიუსი იმდენად აღტაცებული და სიხარულით ფრთაშესხმული ვერ იქნებოდა, რომ სამყაროს კოსმიური სურათი შეექმნა (თუ, როგორ ელოდება მთელი სამყარო ყრმის მოვლინებას), როგორც ეს ეკლოგშია, რაგინდ პატივგემულ მამას შესძენოდა შვილი.

მართლაც, საუკუნეთა განმავლობაში გაისმოდა კითხვა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ეს ცით მოვლენილი ყრმა და თუმცა მკვლევარნი ბევრს ეცადნენ, ისტორიულად დამავჯერებელი ვერსიები აღმოჩინათ, რამდენადმე ხელჩასაჭიდს ვერაფერს მიაგნეს. ამდენად, „ქრისტიანულ თეორიას“, რომ პოეტს მართლაცდა ნათელხილვა ეწვია და ყრმაში იესო ქრისტე უნდა იგულისხმებოდეს, დღესაც საეჭვო ვარაუდების გარდა ვერაფერს უპირისპირებენ, ჩვენ ვუერთდებით ამ თვალსაზრისს და რადგან ეკლოგა ქრისტეს დაბადებას უნდა წინასწარმეტყველებდეს, ამიტომ საჭირო ინტონაციით, ანუ სხვა ეკლოგებისგან ცოტა განსხვავებული ინტონაციით – ოდნავ ამაღლებულითა და მაჟორულით გთარგმნეთ ეს ლექსი.

ეს ამაღლებული ინტონაცია, თუკი ტექსტს დავაკვირდებით, დედანშიაც ხმიანდება, რადგან პოეტმა აქ „მაღალ სათქმელს შეჰქედა“. სანიმუშოდ მოვიყვანთ ერთ პასაჟს ლექსის დასაწყიდან:

აწ კი, მუზებო სიცილიისა, მაღალს შეგბედოთ სათქმელს,
წვრილ ეკალბარდებს და ტამარისკებს ვერ შესჯერდება ყველა,

თუ ტევრს ვუგალობთ, დაე, ის ტევრიც იყოს კონსულის ღირსი, ახდა, რაც კუმელ მისაქალს უთქვაშს, საბრუნს იცვლიან დრონი, იწყება ხანთა სხვა სათვალავი, გასრულებულა უამი.

კვლავ უბრუნდება მიწას ქალწული, კვლავ სატურნუსი ზეობს და ცა, მოწყენით ჩვენდა მზირალი, მოდგმას გვიგზავნის ახალს.

ყრმა შეიყვარე, მოვალს რომელიც მისთვის მოწყალე იქმენ.

ვინც რეინის ხანას, თეორო ლუცინა, ოქროს დროებით შეცვლის.

თუ ჩვენს ძირითად სათქმელს დავუბრუნდებით, უნდა ითქვას, რომ თარგმნის სირთულეებზე მსჯელობისას, საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა თარგმანის სიზუსტე: სად გადის ზღვარი ზუსტა და არაზუსტ თარგმანს შორის, და საერთოდ რა იგულისხმება ამ სიზუსტეში? ეს მეტად სადაც და საჭოჭმანო საკითხია — და საერთოდ, რამდენად შესაძლებელია პოეზიაში ერთი ენის წიაღიდან მეორეში გადანერგო შეგრძნება, განწყობა, ინტონაცია, ტექსტის შინაგანი მუხტი, რიტმი, და ბოლოს და ბოლოს, ავტორის გულისგულში არსებული ლრმა ჩანაფიქრო?

სანამ უშუალოდ ჩვენს ეკლოგებზე გადავიდოდეთ, უნდა გავარკვიოთ, თუ რას ვგულისხმობთ თარგმანის სიზუსტეში, ჩვენი აზრით, რადგან ორი სხვადასხვა ენა ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ფენომენია, ამიტომაც ხშირ შემთხვევაში ზუსტი შესატყვისებით ტექსტის გადმოტანა უფრო ართულებს საქმეს: მუშაობის პროცესში ხვდები, რომ, ერთი შეხედვით, თითქოს ესა თუ ის სიტყვა ზუსტი შესატყვისია დედნისეულისა, მაგრამ თარგმანი არ გამოდის, გრძნობ, რომ მთავარი გასხლტა, ვერ მოიხელთვ, რატომ ხდება ეს? დავიწყოთ იქიდან, რომ უცხო ენაში არსებული და მისი ქართული ადეკვატი არცთუ იშვიათად სხვადასხვა ელფერისანი არიან, სხვადასხვა ენერგეტიკული ველი აქვთ, ვთქვათ, დედნისეულ სიტყვას უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს და უფრო მკვეთრად ნათქვაშს დაამგსავსოს ის, რაც რბილად გინდოდა გეთქვა; ზოგჯერ უფრო დადებითი ინტონაციისკენ იხრებოდეს დედნისეული, ვიდრე მისი ქართული ადეკვატი და ა.შ. ამიტომაც საბოლოოდ, ზუსტი თარგმანის ნაცვლად ყალბ იმიტაციას ვიღებთ. აქედან გამომდინარე, შესაძლოა უარის თქმაც მოგიწიოს ე.წ. „ზუსტ“ თარგმანზე (ანუ სიტყვასიტყვით თარგმანზე) და ისეთი სიტყვის ძიებას შეუდგე, ავტორმა რომ იგულისხმა და რომელიც სწორედ იმ ნიუანსს, იმ წახნაგს გადმოსცემს, ანუ სიზუსტე, ჩვენი აზრით, ნიშნავს — არ უღალატო ავტორის ინტონაციასა და ძირითად, მთავარ სათქმელს; ის გადმოიტანო, რისი თქმაც სურდა სიტყვების მიღმა ავტორს. ეს საკმაოდ რთული ამოცანაა და ხშირად ლექსიკურ დონეზე სხვა გზით წასვლა გიწევს (ერთი შეხედვით, მავანს

Les civilisations gréco-romaine et orientale anciennes en traduction

შესაძლოა ასეთი თარგმანი თავისუფალ თარგმანადაც მოეჩვენოს, ოღონდ მავანს და არა პროფესიონალს. ვფიქრობ, ჩვენი მსჯელობა რომ უფრო თვალნათლივი იყოს, საჭიროა მაგალითების მოხმობა.

განვიხილოთ ბუკოლიკების მე-8 ეკლოგა, რომელიც, ფაქტობრივად, მაგიურ შელოცვებზეა აგებული. შეყვარებული ქალი, რომელიც მიჯნურმა მიატოვა, გრძნეული სიმღერების ძალით ახერხებს დაიბრუნოს იგი. მოვიყვანთ ჯერ პწყარედს და შემდგომ მხატვრულ თარგმანს:

პწყარედი:

ეს ბალახები და აგრეთვე პონტოში ამოკრეფილი შხამი
თავად მერისმა მომცა — მრავლად იზრდება პონტოში,
მე ხშირად მინახავს მერისი, მგლადეცეული თავს რომ აფარებს ტყეებს,
იგი ხშირხშირად ამოიხმობდა ხოლმე საფლავებიდან მკვდართა
სულებს,

და აგრეთვე ყანის ნათესები ერთიდან მეორეში გადაჰქონდა,
წამოიყვანეთ, ჩემო ლექსებო, ქალაქიდან შინ წამოიყვანეთ დაფნისი!

მხატვრული თარგმანი:

ბალახბულახი, შხამი სხვადასხვა მაქეს მერისისგან უხვად,
თურმე პონტოსთან მრავლად იზრდება და იმ ბალახთა ძალით
თავად მერისიც ბევრჯერ მინახავს მგლად რომ ქცეულა ტყეში -
საფლავებიდან მკვდართა სულებიც ამოუხმია ბევრჯერ,
და ერთ ყანაში დათესილ ხორბალს სულ სხვა ყანაში იმკის,
შინ ქალაქიდან მოუხმე დაფნისს, ჩემო შელოცვავ, ჩქარა!

თუკი პწყარედსა და მხატვრულ თარგმანს ერთმანეთს შევადარებთ, შესაძლოა, ერთი შეხედვით თარგმანი ზუსტიც მოგვეჩვენოს, მაგრამ დიდი დაკვირვება არ არის საჭირო, რომ მიხვდე — ბოლოსწინა სტრიქონი პწყარედისაგან განსხვავებულია. პწყარედული თარგმანი — „მინახავს ნათესები ერთი ყანიდან მეორეში გადაჰქონდა“, შეცვლილია, რადგან, თუკი ამ სტრიქონს სიტყვასიტყვით გავიმეორებდით, აზრობრივადაც გაუგებარი იქნებოდა, ხოლო ემოციურად — არაეფექტური და ულიმდამო. ამიტომაც ამ შემთხვევაში „ზუსტი“ თარგმანი არ გამოგვადგებოდა. საქმე ისაა, რომ კონტექსტის მიხედვით მერისს ჯადოქრობა ძალუძს, მას მგლად შეუძლია გადაიქცეს, მკვდართა სულების საფლავებიდან ამოხმობაც შეუძლია, მაგრამ ერთი ყანიდან მეორეში ნათესების გადატანა ჯადოქრობას ნაკლებად გულისხმობს: აქ აშკარად მეტი იგულისხმება და ჯადოქრულ ქმედებაზეა მინიშნება: ამდენად, დაკვირვების შედეგად ვხვდებით, რომ აქ ნათესების გადატანაზე არ საუბრობს პოეტი ასე მარტივად, არამედ

ერთ ყანაში დათესილის სხვაგან მომკილზე: უფრო ნათლად ჩვენ მიერ ინტერპრეტირებულ სტრიქონშია ნათქვამი: „და ერთ ყანაში დათესილ ხორბალს, სულ სხვა ყანაში იმკის“. უფიქრობთ, ეს თარგმანი აშკარას ხდის ავტორისეულ სათქმელს. ამდენად, აյ სიზუსტე არ დარღვეულა, პირიქით, სტრიქონი უფრო გასაგები გახდა.

მეორე მაგალითი კრებულის მე-9 ეკლოგაშია საძიებელი. ეკლოგის შინაარსი მარტივია: მწყემსების ერთმანეთთან გაბაასება და სიმღერებით შესიტყვება-შეჯიბრებაა მოცემული. მოგვყავს ჯერ პწყარედული თარგმანი და შემდგომ მხატვრული.

პწყარედი:

ყველაფერი მიაქვს სიბერეს, სულიერ მხნეობას გვაცლის,
ბიჭობაში ხშირად შემეძლო გრძელი დღე სიმღერებით შემემოკლებინა,
ახლა კი აღარ მახსოვს ის სიმღერები, უკვე ხმაც დაეკარგა მერისს,
თითქოს მან, პირველმა დაინახა მგლები.

მხატვრული თარგმანი:

დრო და სიბერე გვართმევს ყველაფერს, ძალას სულიერს გვაცლის,
ყმაწვილობაში სიმღერ-სიმღერით გრძელს ვამოკლებდით დღეებს,
ის სიმღერები დღეს აღარ მახსოვს, ხმამაც უმტყუნა მერისს,
ისე ჩამიწყდა, თითქოს ტყე-ღრეში შემომეფეთნენ მგლები.

ამ სტროფის ბოლო სტრიქონი — „თითქოს პირველმა მან დაინახა მგლები“, რომაელისთვის სრულიად გასაგები იდიომა იყო; მაგრამ ქართულში სიტყვასიტყვით რომ გაგვემეორებინა, ის ეფექტი დაიკარგებოდა, რომელიც დედანშია, ამიტომ შევეცადეთ, ქართულად უფრო გასაგებად გვეთქვა; უფრო ბუნებრივი ფრაზით შეგვეცვალა: სიტყვა „პირველი“ საერთოდ ამოვილეთ (სრულიად მართებულად) და მის ნაცვლად სხვა სიტყვა ჩავსვით, რათა აზრი უფრო ზუსტად და მკვეთრად გამოხატულიყო: „ისე ჩამიწყდა, თითქოს ტყე-ღრეში შემომეფეთნენ მგლები“.

გარდა ამ შემთხვევებისა, გვინდა ის სპეციფიკურად მკვდარი ენებისთვის დამახასიათებელი სირთულე აღვნიშნოთ, რომელიც თანამედროვე ენებიდან თარგმნისას ნაკლებად სავარაუდოა. საქმე ისაა, რომ ძველ ტექსტებში არცთუ იშვიათია ისეთი ადგილები, როცა ფრაზაში ყველა სიტყვა გესმის, ამ სიტყვების მნიშვნელობას გაიაზრებ, მაგრამ ერთმანეთის გვერდით მიწყობილი სიტყვებიდან აზრი ერთბაშად ვერ გამოგაქვს. რთული სინტაქსური აგებულება ლათინური პოეზიის თარგმნისას საკმაოდ დიდ სირთულეებს წარმოშობს, ხანდახან ისიც ხდება, რომ ამა თუ იმ სიტყვის ყველა მნიშვნელობა ლექსიკონშიც არ ფიქსირდება, რადგან ზოგიერთი მნიშვნელობა დაკარგულია.

Les civilisations gréco-romaine et orientale anciennes en traduction

ასეთ სტრიქონზე შეიძლება რამდენიმე დღე იფიქრო, მაგრამ ვერ ამოიცნო, ვერ „გაშიფრო“ ავტორის სათქმელი. თუკი საერთო კონტექსტიდან გამომდინარე ვერ ამოაქარაგმე — ვერ თარგმნი. სწორედ ერთი ასეთი მაგალითი მინდა, მოვიყვანო მე-10 ეკლოგიდან, რომელიც წიგნის დამასრულებელ აკორდს წარმოადგენს. ეკლოგა ეძღვნება რომაული სატრუიალო ელეგიის დამაარსებელს, კორნელიუს გალუსს. მისმა ელეგიებმა ჩვენამდე მხოლოდ მცირე ფრაგმენტების სახით მოაღწია. როგორც გადმოვცემენ, მას ჰყვარებია ვინმე ლიკორისი, რომელსაც თავის სატრუიალო ელეგიებს უძღვნიდა, მაგრამ ეს სიყვარული ტრაგიული, უიღბლო გამომდგარა გალუსისთვის. სწორედ ამის შესახებ მოგვითხრობს მე-10 ეკლოგში ვერგილიუსი. მოვიყვანთ ამ ეკლოგიდან განსახილველ სტრიქონებს.

პწვარედული თარგმანი:

მას [გალუსს] დაფნის ხეებიც და ტამარისკებიც დასტიროდნენ,
მას დასტიროდა ფიჭვებით მდიდარი მენალუსიც, როცა მარტო
იხილეს კბოდის ქვეშ მწოლი,
ლიკევსიც დასტიროდა თავისი ყინულოვანი მწვერვალებით,
მისი ცხვრებიც იქ იდგნენ, გარშემორტყმოდნენ მას, არაფერი
აქვთ ცხვრებს ადამიანების საწინააღმდეგო,

შენც ნურაფერი გექნება საწინააღმდეგო ფარისა, ღვთაებრივო პოეტო,
მშვენიერი ადონისიც მწყემსავდა ფარას მდინარესთან,

მხატვრული თარგმანი:

დაფნის ხეებიც და ტამარისკიც, თუ მენალუსის ქედი.
ტიროდა ყველა — როცა კლდის პირას ნახეს დაბნედით მწოლი,
ყინულოვანი მთაც ლიკევსისა, ცრემლით ტიროდა ისიც,
თავს დასდგომოდნენ საბრალო ცხვრები, თანამდგომელნი კაცთა.
და შენც, მგოსანო, ნუ გერცხვინება, მწყემსი გულმშვიდად ცხვარი
თვით ადონისიც დაატარებდა ფარებს მდინარის პირას;

ეს პასაუი ექვსი სტრიქონისგან შედგება; ამ სტროფის მე-4, მე-5 და მე-6 სტრიქონები საკმაო თავსატეხს უჩენს მთარგმნელს, რადგან, თუკი მისი ინტერპრეტაცია ვერ მოახერხება და პირდაპირ, სიტყვასიტყვით გადმოიტანება, თუკი ვერ „გაშიფრე“, რისი თქმა სურდა ავტორს, აზრი ვერ გამოიკვეთება და ბუნდოვან, გაუგებარ სტრიქონებს მივიღებთ. ჩვენ შევეცადეთ კონტექსტიდან გამომდინარე, აზრი ამოგვეცნო: როგორც ვვარაუდობთ, აქ ავტორი ცდილობს უსულო ბუნებასთან ერთად (რომელიც განიცდის პოეტის მწუხარებას), ცხვრებსაც მიაწეროს თანალმობის განცდა. ამდენად, დედნის სტრიქონი „მისი ცხვრებიც იქ

იდგნენ, გარს შემორტყმოდნენ მას, არაფერი აქვთ ცხვრებს ადამიანების საწინააღმდეგო“, — უნდა ნიშნავდეს, რომ ცხვარი თვინიერია, ადამიანის მორჩილია, მისიანია და ავტორს სურს ადამიანური განცდა, ანუ თანაღმობის უნარი მიაწეროს ცხვრებს, ასე რომ, ჩვენს მიერ ნათარგმნი „თავს დასდგომოდნენ საბრალო ცხვრები, თანამდგომელნი კაცთა“ — ვფიქრობთ, რომ ავტორის ჩანაფიქრს გამოხატავს.

ასევე თავსატეხს უჩინს მთარგმნელს ამ სტროფის მე-5 და მე-6 სტრიქონები, სადაც სიტყვასიტყვით ნათქვამია: „შენც ნურაფერი გექნება საწინააღმდეგო ფარისა, ღვთაებრივო პოეტო, ადონისიც მწყემსავდა ფარას მდინარის პირას“. ამ სტრიქონების სიტყვასიტყვით გადმოტანაც გაუგებრობას შექმნიდა. საკითხავია, რატომ, ან რა უნდა ჰქონდეს პოეტს ფარის, ან ცხვრების საწინააღმდეგო? ამ სტრიქონთა ე.წ. ზუსტ თარგმანსაც ასევე ჩიხში შეჰყავს მთარგმნელი, მაგრამ ანალიზის შედეგად, ვასკვნით, რომ აქ ზმნა „ნუ გექნება საწინააღმდეგო“ უნდა შეიცვალოს სხვა ზმნით, რომ ავტორის ჩანაფიქრი უფრო გაცხადდეს. თუკი გავიხსენებთ, რომ ადონისს, რომელთანაც მომდევნო სტრიქონში პარალელია გავლებული, მშვენიერ მწყემსს, ქალღმერთი გაუმიჯნურდა, გასაგები გახდება — ავტორი იმას გვეუბნება, რომ არც გალუსმა უნდა ითაკილოს ცხვრების მწყემსვა, როგორც არ ერცხვნებოდა ეს მშვენიერ ადონისს, რომელიც უკვდავი ქალღმერთის მიჯნური იყო. ამიტომაც, ჩვენს მიერ ამგვარად გადმოქართულებული ეს სტრიქონები სავსებით მართებულად გვეჩვენება.

და შენც, მგოსანო, ნუ გერცხვინება, მწყემსე გულმშვიდად ცხვარი,
თვით ადონისიც დაატარებდა ფარებს მდინარის პირზე.

ბიბლიოგრაფია

Rhoades, James, *Vergilius Maro Publius*, in *Encyclopedia Britannica*, 1984.

ვერგილიუს მარონი, პუბლიუს, ბუკოლიკური პოეზია, ეკლოგები.

ლათინურიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო
მანანა დარიბაშვილმა, თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი“, 2019.